



ეკონომიკა

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 17.6%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში წინა თვის 17.3%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 52.7 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დეკემბერში სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ 17.1% შეადგინა (+16.3% ნოემბერში). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტება კურსის ეფექტის გამორიცხვით წლიურად 19.8%-ით გაიზარდა (+19.3% ნოემბერში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიური ზრდა 14.8% იყო (+13.7% ნოემბერში); 2023 წლის დეკემბერში სესხების დოლარიზაციამ 45.2% შეადგინა (+0.28პპ წ/წ და -0.26პპ თ/თ). 2023 წლის დეკემბერში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 14.1%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) 50.6 მლრდ ლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 17.8%-იანი წლიური ზრდის შემდეგ. ვალუტების მიხედვით, დეკემბერში ლარის დეპოზიტები წლიურად 28.2%-ით (+34.6% ნოემბერში) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 3.1% იყო (+4.9% ნოემბერში). შედეგად, დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 50.7% შეადგინა (-5.36პპ წ/წ და -0.03პპ თ/თ).

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 1.3%-ით შემცირდა 2023 წლის დეკემბერში, წინა თვეში დაფიქსირებული 0.2%-იანი წლიური კლების შემდეგ. ფასების წლიურ შემცირებაზე ძირითადი ზეგავლენა ჰქონდა ფასების კლებას დამამუშავებელი მრეწველობის (-1.6%) სექტორში.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში საქონლის ექსპორტი წლიურად 7.5%-ით შემცირდა და 514.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 1.8%-იანი შემცირების შემდეგ. აღნიშნული კლება გასული წლის მაღალი ბაზით იხსნება. ასევე, იმპორტიც წლიურად 11.3%-ით შემცირდა 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 6.8%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 13.6%-ით შემცირდა და 789.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის დეკემბერში მანქანები (+27.4% წ/წ), ფეროშენადნობები (+550.8% წ/წ), ციტრუსები (+124.4% წ/წ), ალკოჰოლური სასმელები (+37.8% წ/წ) და ღვინო (-6.4% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 6.9% ევროკავშირზე მოდიოდა (-44.8% წ/წ), 68.8% დსთ-ზე (+9.7% წ/წ) და 24.4% სხვა ქვეყნებზე (-26.1% წ/წ). 2023 წლის დეკემბერში ტოპ-5 იმპორტი იყო მანქანები (-22.6% წ/წ), ნავთობი (+12.9% წ/წ), გაზი (-33.4% წ/წ), მედიკამენტები (+21.8% წ/წ) და ტელეფონები (-27.7% წ/წ).


ჭამურად, 2023 წელს როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი რეკორდულ დონემდე გაიზარდა. საქონლის ექსპორტი წლიურად 9.1%-ით გაიზარდა 6.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 14.0%-ით გაიზარდა და 15.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 17.4%-ით გაიზარდა და 9.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ინდიკატორები


	2023E	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	6.8%	5.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	22,219	24,178
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,114	8,623
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	3.5%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	5.2
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	4.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.5%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.2%	38.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საბანკო სესხების პორტფელი



საქონლის ექსპორტი





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 23 იანვარს 7.5-წლიანი 75 მლნ ლარის (28.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.077პპ-ით შემცირდა და 8.322% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 6 თებერვალს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 3-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	90	440	360
1 წელზე მეტი	258	2,975	7,778
სულ	348	3,415	8,138


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას:

- შემოსავლიანობის მაჩვენებლები დიდწილად უცვლელი იყო როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ობლიგაციების ბაზრებზე. აშშ-ს 10-წლიანი სახაზინოს შემოსავლიანობა მცირედით შემცირდა 4.15%-დან 4.13%-მდე, ხოლო გერმანიის 10-წლიანი სახაზინოს (ევროპული ბენჩმარკი) შემოსავლიანობა უცვლელი დარჩა 2.30%-ზე.
- ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი დატოვა უცვლელი 4.50%-ზე.


სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1Q24F	2Q24F	3Q24F
US 2y Treasury	4.34	4.31	4.04	3.79
US 5y Treasury	4.03	4.02	3.84	3.69
US 10y Treasury	4.13	4.04	3.89	3.78
US 30y Treasury	4.36	4.24	4.10	4.01
German 2y Bund	2.63	2.31	2.20	2.19
German 10y Bund	2.30	2.64	2.44	2.31

საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
SOFR	5.31	5.31	5.35	5.38
EURIBOR (3-თვიანი)	3.96	3.96	3.93	3.91


კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
US Inv. Grade	5.38	5.38	5.28	5.22
Eurozone Inv. Grade	3.79	3.91	3.64	3.67
EM Inv. Grade	5.48	5.48	5.27	5.22
US High Yield	8.06	8.06	7.85	7.80
EM High Yield	10.41	10.41	10.15	10.12

წყარო: Bloomberg
შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდლიანური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.


FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)




აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



ECB-ის ძირითადი განაკვეთი



გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: FED, ECB, Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	93.55	5.88	174.02
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/-	91.74	6.18	234.50
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/-	100.80	12.74	375.48
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	100.27	8.27	397.87
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/B2	99.53	6.94	165.83
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/-	99.53	13.24	637.84

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	99.77	6.75
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.87	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.98	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	99.99	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.98	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.66	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-	101.17	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.14	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	n/a	n/a
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	n/a	n/a
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.67	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-	n/a	n/a
GEL								
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/-/-	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/B1	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/B1	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 37.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.13% წინა კვირასთან შედარებით და -3.82% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 152 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 36.85 - 38.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 27.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.91% წინა კვირასთან შედარებით და -3.13% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 165 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 27.10 - 29.90 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 10.72 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.37% წინა კვირასთან შედარებით და +5.51% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 467 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.50 - 10.88 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 146 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	37.80	1,734	17.0%	40.8%	-4.9%	2.74x	4.49x	4.47x	0.90x	na	na
TBC	TBC	GBP	27.85	1,543	10.5%	18.5%	-1.6%	4.10x	4.59x	4.03x	1.04x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	14.38	3,922	-1.5%	38.5%	-5.1%	2.69x	2.45x	2.54x	0.78x	0.81x	0.69x
Akbank	AKBNK	TRY	40.32	209,664	61.3%	136.5%	10.4%	1.40x	3.09x	3.22x	0.55x	1.02x	0.88x
Garanti	GARAN	TRY	63.15	265,230	66.5%	157.3%	8.2%	1.91x	3.53x	3.30x	0.73x	1.12x	0.90x
Isbank	ISCTR	TRY	25.30	252,999	80.6%	125.3%	8.3%	0.84x	3.65x	3.63x	0.60x	1.06x	0.90x
PKO	PKO	PLN	49.26	61,575	24.4%	51.0%	-2.1%	10.98x	7.50x	7.17x	1.03x	1.29x	1.24x
PEKAO	PEO	PLN	148.10	38,872	29.9%	60.1%	-2.6%	na	6.10x	7.04x	na	1.28x	1.23x
Millennium	MIL	PLN	7.79	9,450	19.3%	61.6%	-6.8%	na	2.92x	3.78x	1.04x	1.36x	1.25x
Mbank	MBK	PLN	506.80	21,521	7.9%	57.1%	-5.3%	na	7.10x	6.57x	1.10x	1.48x	1.30x
BRD	BRD	RON	17.38	12,112	25.9%	25.9%	-3.0%	6.81x	7.78x	9.34x	1.31x	1.50x	1.49x
Banca Transilvania	TLV	RON	23.80	19,008	16.7%	32.3%	-1.9%	na	7.03x	7.51x	1.60x	1.53x	1.47x
Komercni	KOMB	CZK	746.00	141,777	6.7%	4.7%	3.0%	8.36x	8.89x	10.17x	1.21x	1.06x	1.09x
Mean								4.42x	5.32x	5.60x	0.99x	1.23x	1.13x
Median								2.74x	4.59x	4.47x	1.04x	1.28x	1.23x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულ იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდება რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლებელია მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)